ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5450932

ნომერი: AR1829845

თარიღი : 03.06.2021

გაცემის თარიღი : 15.06.2021

გაცნობის თარიღი : 15.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 48;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ.9ა კორპ. ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 3 ივნისს №AR1829845 განცხადებით მომართა ქეთევან ბაბაჯანაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 2

ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ბ. ხმელნიცკი, №48-ში, №01.17.11.027.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №25 და 2021 წლის 5 მარტის №85 განკარგულებების საფუძველზე, ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი ავტოსადგომის (შიდა) - 295.7 კვ.მ. ფართობის დამატებას. ამასთან, საცხოვრებელ ფართობად 7439.4 კვ.მ-ის ნაცვლად 7437.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1177.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1182.3 კვ.მ-ის და საერთო ფართობად 9940.3 კვ.მ-ის ნაცვლად 10238.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად - 912.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
ამასთან, განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში შეცდომით დაფიქსირდა მშენებლობის ვადა, კერძოდ “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით” ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისიდან 2022 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით”.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ +0.00, +3.00 და +45.25 ნიშნულების გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
ამასთან, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 2 მარტის №AR1807567 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე და სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი ავტოსადგომის (შიდა) ფართობი - 295.7 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 7437.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1182.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 10238.9 კვ.მ. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 912.7 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებით შეთანხმებული +0.00, +3.00 და +45.25 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 ივნისიდან 2023 წლის 2 ივნისის ჩათვლით“.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 2 ივნისის №5431770 ბრძანებასთან ერთად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7)

კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.